„მეცნიერება კაპიტანია“ პროექტს დაფინანსება მიღებული აქვს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ საგრანტო ხელშეკრულებიდან No 955373

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

მოთხრობების კონკურსი სამეცნიერო თემატიკაზე:

„ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! იწყება მკვლევართა თავგადასავალი“

კონკურსის მონაწილეებს ევალებათ, შექმნან ლიტერატურული ნაწარმოები (მოთხრობა) სამეცნიერო თემატიკაზე. ნაწარმოების სიუჟეტში ჩართული უნდა იყოს რომელიმე მეცნიერული აღმოჩენა, ფენომენი ან თეორია, ტექნოლოგიური გამოგონება ან ინოვაცია. მოთხრობაში უნდა წარმოჩნდეს აღნიშნული თეორიის, აღმოჩენის თუ ინოვაციის კავშირი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მისი (მათი) გავლენა ინდივიდის, ადამიანების ან საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის ცხოვრებაზე; სამყაროზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, პლანეტაზე და სხვა.

მონაწილეებს შეუძლიათ თავისუფლად შეარჩიონ ნაწარმოების ჟანრი (რეალისტური მოთხრობა, სამეცნიერო ფანტასტიკა, დისტოპია, ფენტეზი და სხვა.) საკონკურსო მოთხრობის ფაბულა ან მისი ნაწილი დაკავშირებული უნდა იყოს სამეცნიერო თემასთან, რომელიც სიუჟეტის განვითარების ხაზში ბუნებრივად იქნება ჩართული.

სასურველი იქნება, მონაწილეებმა მოიძიონ ინფორმაცია და თხრობაში გამოიყენონ უახლესი გამოგონებები, თეორიები ან ინოვაციები.

კონკურსში მონაწილეებად დაიშვებიან 16-22 წლის ახალგაზრდები (რომელთაც უკვე შეუსრულდათ 16 წელი კონკურსის გამოცხადების თარიღით).

საკონკურსო ნაწარმოებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ენობრივი, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა;
- მოთხრობის სიუჟეტის განვითარება თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა. (ნაწარმოებში უნდა ჩანდეს სიუჟეტის განვითარება და სტრუქტურა - ექსპოზიცია, განვითარება, კულმინაცია, დასასრული);
- მოთხრობის ფაბულაში გამოყენებული მეცნიერული თეორია, მეცნიერული ან ტექნოლოგიური გამოგონება, ინოვაცია უნდა იყოს გააზრებული და ლოგიკურად ებმოდეს ნაწარმოების სიუჟეტს;
- თხრობის გამართული სტილი, ნაწარმოების ინოვაციურობა და ორიგინალურობა.

კონკურსის მონაწილეებმა ნაწარმოებები უნდა მოგვაწოდონ ელექტრონულად (MS word დოკუმენტით) მეილზე: contest@writershouse.ge

საკონკურსო ნაწარმოებების მიღების **ბოლო ვადა: 30 ოქტომბერი.**

აუცილებელი მოთხოვნები:

ტექსტი დაბეჭდილი უნდა იყოს უნიკოდირებული ქართული შრიფტით და მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1,800 სიტყვას.

საკონკურსო ნაწარმოების ელექტრონულ დოკუმენტში (word) მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, ქალაქის დასახელება;

კონკურსანტმა ნამუშევრის გამოგზავნის დროს ელექტრონულ წერილში (იმეილში) უნდა მიუთითოს თავისი საკონტაქტო ინფორმაცია. ი□ეილის subjet ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს კონკურსის სათაური.

სქოლიოში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია მოთხრობაში გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური თუ ინოვაციური გამოგონების ავტორი და წელი (სიუჟეტში ასეთის გამოყენების შემთხვევაში).

საკონკურსო ნაწარმოებები შემოწმდება პლაგიატზე. არ უნდა გამოგზავნოთ უკვე გამოქვეყნებული (ონლაინ ან ბეჭდურად) ან სხვა კონკურსებში გაგზავნილი ლიტერატურული ტექსტები. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, მონაწილე კონკურსიდან მოიხსნება.

□ოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნაწარმოები არ განიხილება!

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებას იტოვებს, საპრიზო ადგილებზე გასული კონკურსანტების ლიტერატურული ნაწარმოებების დედანი და თარგმანი გამოიყენოს / გამოაქვეყნოს სრულად ან ნაწილობრივ.

სასარგებლო ბმულები თემების მოძიებისთვის:

European Research Council (ERC) stories: https://erc.europa.eu/projects-figures/stories

https://erc.europa.eu/magazine

Horizon Magazine - https://horizon-magazine.eu/

https://www.newscientist.com/

BBC Technology - https://www.bbc.com/news/technology

BBC Science - https://www.bbc.com/news/science_and_environment

National Geographic - https://www.nationalgeographic.com/science/